# საპროექტო ტერიტორიის პირველადი ისტორიულ–არქიტექტურული კვლევა

## ვ. გორგასლის ქ. №3



თბილისი
2012

საპროექტო ობიექტი მდებარეობს მთაწმინდა-კრწანისის რ-ში – ისტორიულ აბანოთუბანში. თბილისის ერთ-ერთი უძველესი – აბანოთუბანი მდებარეობდა თათრის მოედნის სამხრეთით და აღმოსავლეთიდან უშუალოდ ემიჯნებოდა კლდის უბანს. მისი სახელწოდება იმით აიხსნება, რომ აქ, ადრე, შუასაუკუნეებიდან თბილისის უნიკალური დამახასიათებლობა – გოგირდის აბანოები მდებარეობს. მას ესაზღვრებოდა ზედა ციხე ნარიყალითურთ, აღმოსავლეთით – წავკისწყლის პირას გამავალი კედელი, ხოლო დასავლეთით მისი გალავანი გადიოდა დღევანდელ გორგასალის პირველი შესახვევის ხაზზე, იმგვარად, რომ გვერდზე იტოვებდა ციხის (თათრის) მოედანს.

თუ როგორ ყალიბდებოდა ამ უბნის ქუჩათა სტრუქტურა XIX-XX ს-თა მანძილზე ნათლად ჩანს თბილისის სხვადასხვა პერიოდის გეგმებზე და ფოტოსურათებზე.





საარქივო მასალის კვლევის შედეგად ირკვევა, რომ აბანოსუბნის ამ მონაკვეთზე განაშენიანება ისტორიული ქალაქის ჩამოყალიბებისთანავე გაჩნდა, ხოლო XIX ს. კიდევ უფრო მჭიდრო ხასიათი მიიღო. თუმცა კონკრეტულად ამ მონაკვეთზე არსებული ნაგებობები საფუძვლიანად გამოიცვალა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მიმდეარე ძვ. თბილისის რეკონსტრუქციის პროცესში. შენობები „გალამაზდა“, თუმცა, უმეტესად იგნორირებული იყო მათი ავთენტური სახე.

კონკრეტულად ჩვენთვის საინტერესო აბანოთუბანში მდებარე სასტუმრო „ძველი ბაქოს“ ყოფილი სასტუმრო „ტიფლისის“ მოცულობა გასული საუკუნის 90-იან წლებში აიგო და იმთავითვე ისტორიული უბნის შეუსაბამო დიდი მასშტაბით გამოირჩეოდა. ნაგებობის არქიტექტურული სტილი ე.წ. პოსტმოდერნისტული ელემენტებით იყო გაჯერებული, რაც ასევე არ შეესაბამებოდა ძველი თბილისის შუაგულის არქიტექტურულ სახეს.





აბანოთუბნის ამ ნაწილში ძველთაგანვე შემორჩენილია შუასაუკუნეებრივი თბილისისთვის დამახასიათებელი ვიწრო და უსწორმასწორო ქუჩათა სისტემა.

ნაგებობები აქ ძირითადად ბანის ტიპის საცხოვრებლებს შეადგენდა, რომელთა შორისაც მკვეთრად გამოირჩეოდა ე.წ. თათრული აბანოების გუმბათები. XIX საუკუნის II ნახევრიდან აბანოთუბანში რამდენიმე ადმინისტრაციული სახაზინო შენობა განთავსდა, რომლებიც სახაზინო დაწესებულებათა მკაცრ კლასიციზმში იყვნენ გადაწყვეტილი. XX საუკუნის მიწურულს უბანში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად მკვეთრად იმატა ხის შეკიდულაივნიანი სახლების რაოდენობამ, ხელახლა მოფირკეთდა ფერადი ჭიქურით ე.წ. ჭრელი აბანო, რომელიც თავისი არქიტექტურით უფრო მეჩეთს გვაგონებს.



ამდენად აბანოთუბნის განაშენიანება საკმარისად ეკლექტიკურ ხასიათს ატარებს და ზოგადად ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი ევროპული და აღმოსავლური სტილების ნაზავს წარმოადგენს.

საკვლევი ობიექტის მიმდებარედ არსებული ყველა ისტორიული აბანო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს. ასევე ძეგლებად არის აღრიცხული ახუნდოვის, გრიშაშვილის და აბანოთუბნის ქუჩების უმეტესი სახლები.

თავად სასტუმროს შენობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ იმთავითვე უხეშ ჩარევად ჩაითვალა ისტორიული უბნის ქსოვილში და ჩაფიქრებულ პროექტთან შედარებით ნაკლები სიმაღლის აშენდა, ასევე გადაკეთდა ნაგებობის ფასადის არქიტექტურული კომპოზიცია, რომელზედაც გაჩენილი თბილისური ღია აივნები და მთლიანად ფასადის დატეხვა დონეებად ვიზუალურად ასე ვთქვათ „ამსუბუქებდა“ შენობის სიტლანქეს, თუმცა რადიკალური ცვლილება ამან ვერ

მოგვცა. საბოლოო შენობამ სრულიად ეკლექტური ხასიათი მიიღო და მხატვრული გაფორმებით არ შეესაბამება ისტორიული უბნის გარემოს.






ამჟამად სასტუმროს შეეცვალა მეპატრონე და განზრახულია მისი რეკონსტრუირება რისთვისაც შევიმუშავეთ შემდეგი რეკომენდაციები.

## რეკომენდაციები

- ისტორიული თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილის - აბანოთუბნის უნიკალური ღირებულებიდან გამომდინარე სასურველია შენობის ფასადების მხატვრული გაფორმება შესრულდეს განსაკუთრებულად მაღალი ხარისხის სამშენებლო მასალებით და დაცული იქნას მთელი ნაგებობისათვის ერთაინი არქიტექტურული სტილი.
- მოსაპირკეთებელ მასალად შესაძლებელია გამოვიყენოთ, როგორც ლესვა ასევე ძველი აგურის ან ბუნებრივი ქვის ფაქტურა, მაგრამ ყველა შემთხვევაში ფასადების ფერადოვნება უნდა იყოს მაქსიმალურად სადა და მისადაგებული ისტორიული თბილისის გარემოს. ასევე სახიფათოა მკვეთრად თეთრი ფერის ქვის ფაქტურის გამოყენება რაც დამახასიათებელია აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის და არ არის ბუნებრივი ისტორიული თბილისისათვის.
- არქიტექტურული დეტალების (კარ-ფანჯრების, აივნების დეკორატიული სარტყლების) ხასიათი შესაძლებელია იყოს როგორც აღმოსავლური ასევე კლასიცისტური მიმართებისა, მაგრამ ორივე შემთხვევაში აუცილებელია ზომიერებისა და თავშეკავებულობის პრინციპების დაცვა, რათა ისედაც მასშტაბური ნაგებობა კიდევ მეტად პოპეზურად არ გამოიკვეთოს და მთლიანად არ დათრგუნოს ისტორიული უბნის არქიტექტურული ლანდშაფტი.
- ფასადზე დიდი ზომის შემინული ან ქრომირებული ზედაპირების გამოყენება სასურველი არ არის.

- შენობის არქიტექტურული გაფორმებისას გასათვალისწინებელია მის უშუალო სიახლოვეს მდებარე აბანოების სილუეტებისათვის შესაბამისი ნეიტრალური ფონის შექმნა რათა შორ ხედებზეც გამოიკვეთოს ძველი ქალაქისათვის ისტორიულად ტრადიციული აბანოების გუმბათების მოტივი.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი

